საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, კარის ღვთისმშობელი, პორტაიტისა. X ს-იდან ათონის წმ. მთაზე, ივერთა მონასტერშია დასვენებული. იგი ღვთისმშობლის ერთ-ერთი ყველაზე სათაყვანო სასწაულმოქმედი ხატია.

ი. ყ. ღ. ხ. ოდიგიტრიის ტიპისაა. იგი შესრულებულია ფერწერით და შემკულია ოქრონაქანდაკევი მოჭედილობით. ხატის ისტორია ხატმებრძოლეობის პერიოდთანაა დაკავშირებული. გადმოცემის მიხედვით, ქ. ნიკეასთან ახლოს მცხოვრებ ქვრივ ქალს იგი სახლში ჰქონდა დაბრძანებული. იმპ. თეოფილეს ზეობაში ხატთაყვანისმცემელთა დევნისას (IX ს.) ქალმა ხატი, გადარჩენის მიზნით, წყალს გაატანა.

ხატის ისტორიის შემდგომი ეტაპი გრძელდება X ს. მიწურულს, როდესაც იგი ათონის ქართველთა მონასტრის სიახლოვეს ზღვაში გამოჩნდა და ქართველმა მოწესემ, წმ. გაბრიელმა ნაპირზე გამოაბრძანა. ღირსმა მამა გაბრიელმა იგი პატივით დაასვენა ივერიის მონასტრის ეკლესიაში, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ხატი ბერებს ადგილ-ზე აღარ დახვდათ – იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე იყო დავანებული. ხატი პირვანდელ ადგილს დაუბრუნეს, მაგრამ იგი კვლავ კარიბჭეში დახვდათ. ამის შემდეგ ეწოდა ხატს პორტაიტისა, ანუ კარის ღვთისმშობელი.

ათონის მთის სიწმინდეთა იმ მრავალრიცხოვან აღწერებში, რ-ებიც საუკუნეების განმავლობაში შეუდგენიათ პილიგრიმებს, მოგზაურთ, სიძველეთა მოყვარულებსა თუ სწავლულებს, ტრადიციულად, საგანგებო ადგილი ეთმობა კარის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს და ქართველთა მონასტერთან მისი გამოჩენის შესახებ არსებულ გადმოცემას.

ი. ყ. ღ. ხ-ის ათონის ქართველ მოღვაწეებთან და საქართველოსთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს მისი თავდაპირველი მოჭედილობა, მასზე შესრულებული ქართ. საქტიტორო წარწერა, აგრეთვე მონასტრის აღაპების ხელნაწერი კრებული. არსებული წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ღვთისმშობლის ხატის მოჭედილობა შესრულდა სამცხის ათაბაგისა და ამირსპასალარის – ყვარყვარე დიდის ძის (ქაიხოსროს გაზრდილის) – ამბროსის მიერ. არსებული ცნობების მიხედვით, ხატი უნდა მოეჭედათ 1500–04 წლებში.

საუკუნეების განმავლობაში ქართველ მეფე-მთავართა, საეკლ. მოღვაწეთა და მომლოცველთა მიერ გაღებული შეწირულობები მონასტრის განახლება-გაძლიერებასთან ერთად სწორედ ი. ყ. ღ. ხ-ზე ზრუნვით იყო განპირობებული. 1680, აშოთან მუხრანბატონის ღვაწლით, ივერთა მონასტერში, კარიბჭესთან ახლოს, აიგო ეკლესია და ღვთისმშობლის ხატი იქ იქნა გადასვენებული. მას შემდეგ იგი ამ ტაძარშია დაბრძანებული. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ხატის ხსენებას დღესასწაულობს 12 თებერვალს, 31 მარტს, 12 ოქტომბერს და ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს.

ლიტ.: ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე ზ., ივერიის კარის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატი, «მაყვლოვანი», 2012, №7; მ ი ს ი ვ ე, The Original Cladding of the Portaitissa Icon, «Oriens Christianus», 2005, Bd. 89.

ზ. სხირტლაძე